

# Wir neu B1.2

Grundkurs Deutsch für junge Lernende

მასწავლებლის წიგნი

XI კლასი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს.



სულაკაურის  
განმანათლებლო

# Wir neu B1.2

## Grundkurs Deutsch für junge Lernende

### Lehrerhandbuch

© Für diese Lizenzausgabe: Sulakauri Publishing, Tbilisi, Georgia, 2023

Alle Drucke dieser Auflage können nebeneinander benutzt werden, sie sind untereinander unverändert.  
Die letzte Zahl bezeichnet das Jahr des Druckes.

Das Werk und seine Teile sind urheberrechtlich geschützt. Jede Nutzung in anderen als den gesetzlich zugelassenen Fällen bedarf der vorherigen schriftlichen Einwilligung des Verlages.

© Loescher Editore S.r.L., Torino, erste Ausgabe 2002, Giorgio Motta, Wir  
Für die internationale Ausgabe © 2015 Ernst Klett Sprachen GmbH, Stuttgart (erste Ausgabe 2003)

**გერმანული ენა XI**  
**მასწავლებლის წიგნი**

წინასიტყვაობის ავტორები: **შორენა კვანჭიანი, ნინო გიორგანაშვილი**

პირველი გამოცემა, 2023

© სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2023

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“

აღმაშენებლის 150, თბილისი 0112

ტელ.: 2910954, 2911165

ელფოსტა: [info@sulakauri.ge](mailto:info@sulakauri.ge)

ISBN 978-9941-30-437-8

[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

# სარჩევნი

სახელმძღვანელოს კონცეფცია – შესავალი	5
სახელმძღვანელოს აღწერა	6
სახელმძღვანელოს ძირითადი კომპონენტები	8
დიდაქტიკურის საფუძვლები	9
კრიტერიუმები სახელმძღვანელოს შესაფასებლად	14
მეთოდები მოსწავლეთა გასააქტიურებლად	16
შეფასება	18
გაკვეთილის გეგმა	24
მასალის განაწილების გეგმა	31
კომპლექსური დავალებები და მატრიცები	35
ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან	67

## Wir neu B1.2

### Grundkurs Deutsch für junge Lernende

Modul 1	
Lektion 1	Seite
Didaktische Hinweise	71
Lösungen und Hörtexte Kursbuch	73
Lösungen und Hörtexte Arbeitsbuch	73
Test	79

Modul 2	
Lektion 1	Seite
Didaktische Hinweise	81
Lösungen und Hörtexte Kursbuch	84
Lösungen und Hörtexte Arbeitsbuch	85
Test	86

Modul 2	
Lektion 2	Seite
Didaktische Hinweise	87
Lösungen und Hörtexte Kursbuch	89
Lösungen und Hörtexte Arbeitsbuch	92
Test	93

Modul 3	
Lektion 3	Seite
Didaktische Hinweise	94
Lösungen und Hörtexte Kursbuch	97
Lösungen und Hörtexte Arbeitsbuch	100
Test	104



# სახელმძღვანელოს კონცეფცია

## შესავალი

გერმანული ენის სახელმძღვანელო Wir neu B1.2 არის მეორე უცხო ენის სახელმძღვანელო და მას ყველა საფეხურზე, იქნება ეს დაწყებითი, საბაზო თუ საშუალო, მთავარ ხაზად ორი ძირითადი იდეა გასდევს – ადამიანებს შორის კომუნიკაცია და ამ კომუნიკაციის გამართვა. სახელმძღვანელო ეყრდნობა ენების ევროპულ სარეკომანდაციო ჩარჩოს და ამზადებს მოსწავლეებს A1, A2 და B1 გამოცდებისთვის. წინამდებარე სახელმძღვანელო მოსწავლეებს საფუძვლიანად ამზადებს ისეთი სასერტიფიკატო გამოცდისთვის, როგორც არის Jugend-Prüfungen des Goethe-Instituts Zertifikat B1 für Jugendliche. ამ სახელმძღვანელოს საშუალებით მოსწავლეები გაეცნობიან და შეიძენენ გამოცდისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს. თითოეული სახელმძღვანელოს გლობალური მიზანი ისეთი კომპეტენციების შექმნაა, რომლებიც ოთხ კლასიკურ უნარ-ჩვევის ფლობას მოიცავს. ესენია: კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი და წერა. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საშუალო საფეხურის კურსდამთავრებულები (X-XII კლასები) მეორე უცხოურ ენას B1 დონეზე უნდა ფლობდნენ. საშუალო საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმაში B1 დონე დაშლილია 2 ქვესიმრავლედ: B1.1 და B1.2.

	პირველი უცხოური ენა	მეორე უცხოური ენა
I-IV კლასების სტანდარტი	A1.1	
V-VI კლასების სტანდარტი	A2.2.	A1.2.
VII-IX კლასების სტანდარტი	B1.1	A2.3
X-XII კლასების სტანდარტი	B1.2	B1.2

(იხ. ეროვნული სასწავლო გეგმა; უცხოური ენების სტანდარტები საშუალო საფეხურზე-ზოგადი ნაწილი)

როგორც აღვნიშნეთ ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია XI კლასისთვის. ის თემატიკის მხრივ ითვისების მიზარდთა ასაკს და გვთავაზობს მათთვის ამ ეტაპზე საინტერესო თემებს: ურთიერთობა მშობლებთან, ნათესავებთან, სასიათის თვისებები, გარემოს პრობლემები, მედია და ა.შ.

## სახელმძღვანელოს აღწერა

ეს სახელმძღვანელო მოიცავს ორ მოდულს. პირველი მოდული შედგება 1, ხოლო მეორე - 3 თავისაგან. საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით, B1 (B1.1/B1.2) დონის მისაღწევად საჭიროა დაახლოებით 120-150 აკ. საათი.

მოქმედი საათობრივი ბადის მიხედვით მეორე უცხოურ ენას XI კლასში ეთმობა კვირაში 2 აკ. საათი (იხ. საათობრივი ბადე - 2018 წლის სექტემბრიდან, თავი X), ხოლო სასწავლო წლის კალენდარი მინიმუმ 35 კვირისაგან შედგება. აკადემიური კვირებისა და აკადემიური საათების გათვალისწინებით მეორე უცხოურ ენას დათმობილი აქვს დაახლოებით 70 აკ. საათი (35X2). წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო მასალა განერილია 65 აკადემიურ საათზე (იხ. მასალის განაწილების გეგმა). საათობრივი განაწილების თვალსაზრისით ეს სახელმძღვანელო კარგად ერგება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ სტანდარტს და B1.2-ის მასალის გავლა შესაძლებელი იქნება ერთ სასწავლო წელში.

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია 14-16 წლის მოზარდებისთვის და სწორედ ამ ასაკისთვის საინტერესო თემებს მოიცავს: ადამიანის აღწერა ხასიათის თვისებების მიხედვით, ნათესავები, ურთიერთობა მშობლებთან, გარემოს პრობლემები, ჩართულობა სოციალურ საქმიანობებში, მედიები. ორივე მოდულში წარმოდგენილი თავების თემატიკა სრულ თანხვედრაშია მე-11 კლასის მოსწავლეების ასაკობრივ თავისებურებებთან, რაც ეხება როგორც ცოდნას, ისე მოზარდების შესაძლებლობებს და მათი ცხოვრების სტილს.

თანდართული საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოების ცხრილში მოცემულია B1 დონის აღწერილობა. ცხრილში აღწერილია მისაღწევი შედეგები შემდეგ უნარებში: გაგება, კითხვა, ლაპარაკი და წერა.

### მოსმენა/კითხვა

შემიძლია გავიგო ძირითადი, როცა იყენებენ სტანდარტულ ენას და ისეთ თემებზეა საუბარი, როგორც არის სამუშაო, სკოლა, თავისუფალი დრო და ა.შ.; ასევე, შემიძლია გავიგო ძირითადი ინფორმაცია სატელევიზიო თუ რადიო გადაცემებიდან, როცა ლაპარაკობენ ნელა და გარკვევით. შემიძლია გავიგო იმ ტექსტების შინაარსი, რომლებშიც ლაპარაკია ყოველდღიურ თემებზე. ასევე შემიძლია გავიგო წერილების შინაარსი, რომლებშიც მოთხრობილია მოგზაურობისა თუ თავგადასავლების შესახებ, საუბარია გრძნობებზე ან სურვილებზე.

### ლაპარაკი

შემიძლია მოგზაურობისას თავი გავართვა სხვადასხვა სიტუაციას. შემიძლია წინასწარ მოუმზადებლად საუბარში მივიღო მონაწილეობა, თუ საუბრის დროს განხილული თემებია: ოჯახი, ჰობი, სამუშაო, მოგზაურობა. შემიძლია ვისაუბრო საკუთარ მიზნებზე, ოცნებებსა და სამომავლო გეგმებზე. შემიძლია მოკლედ გამოვთქვა საკუთარი აზრი და დავასაბუთო ის. შემიძლია თანამიმდევრულად მოვყვე რაიმე ამბავს, გადმოვცე ნაკითხული ტექსტის ან ფილმის მოკლე შინაარსი და გამოვთქვა ჩემი აზრი.

## წერა

შემიძლია დავწერო მოსაზრება ჩემთვის ნაცნობ თემებზე, მაგალითად, დავწერო ტექსტი ინტერნეტფორუმში. შემიძლია მივწერო წერილი ჩემს მეგობრებს და მოვუთხრო მათ ჩემს გამოცდილებებსა და შთაბეჭდილებებზე. ასევე შემიძლია დავწერო მოკლე საქმიანი წერილი – მაგალითად, მოვიხადო ბოდიში გაცდენილი შეხვედრისთვის, ვითხოვო ახალი შეხვედრის დანიშვნა და ა.შ.

# სახელმძღვანელოს ძირითადი კომპონენტები

## მოსწავლის წიგნი კლასში სამუშაოდ

- დიალოგები, მოსასმენი და საკითხავი ტექსტები;
- ოთხი უნარ-ჩვევის (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა) განვითარება;
- მრავალფეროვანი დავალებები, რომლებიც ემსახურება საკომუნიკაციო მიზნებს;
- მრავალფეროვანი გრამატიკული სავარჯიშოები;
- დავალებები წარმოთქმაში სავარჯიშოდ;
- დავალებები ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად;
- სურათები, რომლებიც ემსახურება საკომუნიკაციო მიზნებს;
- სიმღერები;
- რუბრიკა „შენ შეგიძლია“;
- ინფორმაცია ქვეყნების შესახებ.

## მოსწავლის რვეული ცოდნის გასაღრმავებლად და საშინაო დავალებებისთვის

- შესაბამისობა მოსწავლის წიგნთან;
- მრავალფეროვანი სავარჯიშოები გრამატიკული კონსტრუქციებისა და ლექსიკური მარაგის გასაღრმავებლად;
- ნასწავლი სიტყვებისა და სამეტყველო ფრაზების ჩამონათვალი ყოველი მოდულის ბოლოს.

## მასწავლებლის წიგნი

- მეთოდური რჩევები მასწავლებლებისთვის;
- მოსწავლის წიგნში მოცემული მოსასმენი მასალა;
- ტექსტების ტრანსკრიპციები და პასუხები;
- მოსწავლის რვეულში მოცემული მოსასმენი ;
- ტექსტების ტრანსკრიპციები და პასუხები;
- ბარათები ზეპირი სავარჯიშოებისათვის;
- ყოველი თავისთვის განკუთვნილია ტესტი, რომელიც 20 ქულით ფასდება, ხოლო ყოველი მოდულის ბოლოს მოცემულია შემაჯამებელი ტესტი, რომელიც 25 ქულით ფასდება. მოსწავლის წიგნში სულ 4 თავი და ორი მოდულია, შესაბამისად მასწავლებლის წიგნშიც 4 ტესტი და ორი შემაჯამებელი ტესტია.

აქვე გთავაზობთ 20 და 25 ქულიანი ტესტების ცხრილს და მის შესაბამისობას ქართული სკოლების შეფასების სისტემასთან:

20-18	17-16	15-14	13-12	11-10	9-8	7-6	5-4	3-2	1
10	9	8	7	6	5	4	3	2	1

25-22	21-19	18-16	15-13	12-11	10-9	8-7	6-5	4-3	2-1
10	9	8	7	6	5	4	3	2	1

- ტესტების პასუხები

## მოსწავლის წიგნის აუდიომასალა:

- ინტერვიუები;
- დიალოგები;
- სხვადასხვა ტიპის სავარჯიშო სიტყვის სწორად წარმოთქმაში.

## ონლაინდავლებები:

- სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოები გავლილი გრამატიკული კონსტრუქციებისა და ლექსიკის განსამტკიცებლად;
- საშინაო დავლებები;
- დავლებები ისეთი ჯგუფებისთვის, რომლებსაც ინტერნეტში მუშაობა შეუძლიათ.

# დიდაქტიკური საფუძვლები

## მოსწავლის წიგნი

### მოდული 1: ურთიერთობები (Beziehungen)

თავი 1: კარგი ურთიერთობა გაქვს მშობლებთან? (Verstehst du dich gut mit deinen Eltern)

### მოდული 2: საზოგადოება, გარემო, მედიები (Gesellschaft, Umwelt, Medien)

თავი 1: რას აკეთებ გარემოსთვის? (Was machst du für die Umwelt?)

თავი 2: თინა ჩართულია ... (Tina engagiert sich für ...)

თავი 3: როგორ იქმნება სასკოლო გაზეთი? (Wie entsteht eine Schülerzeitung?)

თუ რამდენად შეეფერება სახელმძღვანელო ამ თუ იმ მიზნობრივ ჯგუფს, ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად მოიაზრება, რომელსაც სახელმძღვანელო სავსებით აკმაყოფილებს. სახელმძღვანელოს შესაბამისობა მიზნობრივ ჯგუფთან ძალიან მნიშვნელოვანია

- სახელმძღვანელოს მთავარი გმირები არიან მოზარდები, რომლებიც მათთვის მნიშვნელოვან და საინტერესო სიტუაციებს წარმოაჩენენ.
- სახელმძღვანელო გვთავაზობს ტექსტის სახეობებს, რომლებსაც მოზარდები ძირითადად უსმენენ, კითხულობენ და წერენ.
- სახელმძღვანელო განიხილავს მოზარდებისთვის მნიშვნელოვან თემებს.

ზეპირმეტყველებითი კომუნიკაციის განვითარება ამ სახელმძღვანელოს ძირითადი მახასიათებელია. მასში მოცემულია სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოები ენობრივი ქმედებების გასაუმჯობესებლად. ასევე, შესაბამისი დავლებები, რომლებიც მოსწავლეებს გერმანულენოვან ქვეყნებში ყოფნისას ინტერაქციას გაუადვილებს.

სახელმძღვანელო მიზნად ისახავს არა მხოლოდ სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარებას, არამედ განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგებასა და პატივისცემას.

სახელმძღვანელოში მოცემული ავთენტური და ადაპტირებული ტექსტები (აღწერიითი ტიპის ტექსტები, პირადი ცხოვრების ამსახველი ამბები, ზღაპარი, სხვადასხვა ტიპის განცხადება, მკითხველის წერილი, მოსაზრებები) მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ამოიცნოს უცხო კულტურის თავისებურებები და პარალელური გაავლონ საკუთარ კულტურასთან.

როგორც ეროვნულ სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, უცხოური ენის სწავლა უცხო

სამყაროში შესვლასა და განსხვავებული წესების, ტრადიციების აღმოჩენასა და განსხვავებული ღირებულებებისა და მენტალობების გაგებას ნიშნავს. ეს სახელმძღვანელო თავისი კონცეფციით სრულიად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობები მოსწავლეებს საშუალებას მისცემს გააცნობიერონ კულტურული მრავალფეროვნება და ისწავლონ როგორც საკუთარი, ისე უცხოური კულტურის დაფასება.

მოკლე სიუჟეტები აუგბურგელი ვაიგელების ოჯახის (შტეფანი, თინა და მათი მშობლები რენატე და პეტერი) ცხოვრებიდან აქაც მთელ წიგნს თან გასდევს და მოსწავლეებს წარმოადგენს უქმნის გერმანელების ცხოვრებაზე; საშუალებას აძლევს აღმოაჩინონ განსხვავებული წესები და ტრადიციები, რათა თანდათან განსაზღვრონ სოციოკულტურული თავისებურებები. მოსწავლეებს უცხოური ენისა და კულტურის გაცნობის პროცესში უნდა ჩამოუყალიბდეთ მკვიდრი წარმოდგენები (იხ. ეროვნული სასწავლო გეგმა, უცხოური ენების სტანდარტები საშუალო საფეხურზე- ზოგადი ნაწილი).

დავალებების უმრავლესობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გათვლილია წყვილებსა და ჯგუფურ მუშაობაზე, რაც ხელს უწყობს ენის აქტიურად გამოყენებას. ამასთან, მოცემულია უამრავი თამაში, რაც ლექსიკური მარაგის ათვისებას და გრამატიკული სტრუქტურების დაუფლებას უწყობს ხელს. წყვილებში და ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობა ავითარებს ისეთ გამჭოლ უნარებს და ღირებულებებს, როგორებიცაა: თანამშრომლობა, ცოდნის გაზიარება, პრობლემების ერთობლივად გადაჭრა. ამ ასპექტშიც ეს სახელმძღვანელო შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლის მიხედვითაც, საგნობრივი შედეგების გარდა, შეფასების სამიზნედ უნდა იქცეს სხვადასხვა გამჭოლი უნარები და ღირებულებები: პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა, ეთიკა და ა.შ. (იხ. ეროვნული სასწავლო გეგმა, უცხოური ენების სტანდარტები საშუალო საფეხურზე- ზოგადი ნაწილი).

## 1. თითოეული მოდული მოიცავს შემდეგ რუბრიკებს:

- შენ სწავლობ (Du lernst...) ყოველი მოდულის დასაწყისში მოცემული საკომუნიკაციო მიზნები შესაბამისი მოდულის თავებში უნდა იქნეს მიღწეული.
- ჩვენ ვვარჯიშობთ (Wir trainieren) ყოველი მოდულის ბოლოს მოცემული განვლილი მასალის გამეორება მოსმენის, კითხვის, ლაპარაკისა და წერის მიზანმიმართულ ვარჯიშს ემსახურება, რაც მოსწავლეებს, ერთი მხრივ, აძლევს წარმატებული კომუნიკაციის საშუალებას, და მეორე მხრივ, ამზადებს B1 დონის გამოცდისთვის.

## 2. ენობრივი კონსტრუქციები

- თითოეულ თავში ენობრივი კონსტრუქციები შეისწავლება ეტაპობრივად. ცხრილში მოყვანილი რუბრიკები მეორდება ყოველ თავში:

საკომუნიკაციო სიტუაცია	სურათი დიალოგური სიტუაციით
სამეტყველო ბლოკი	გამოყენებული ენობრივი სტრუქტურების გააზრება
გრამატიკის ყუთი	გრამატიკული კონსტრუქციების წარმოსაჩენად
ლექსიკის განმტკიცება	სავარჯიშოები მოცემული თავის ლექსიკაზე დაყრდნობით
წარმოთქმა	წარმოთქმაში კომპლექსურად ვარჯიში
შენ შეგიძლია	ნასწავლი მასალის გამოყენება

### 3. უნარ-ჩვევები

- სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენობრივი ქმედების ოთხივე ძირითადი კომპეტენციის (ლაპარაკი, წერა, მოსმენა და კითხვა) განვითარებას. თითოეული კომპეტენციისათვის მოსწავლეებს თავიდანვე მიეწოდებათ სათანადო სტრატეგიები, რომლებზე დაყრდნობითაც მათ უადვილდებათ ტექსტის გაგება, მოსმენა, ლაპარაკი და წერა.

ძირითადი კომპეტენციები **კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი** და **წერა** შესაძლებელია გაკვეთილის მიზნებიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დამუშავდეს.

**მიმართულება – ზაიარი მატყვალა (მოსმენა და ლაპარაკი):** გამოიყენება ისეთი ტიპისა და შინაარსის ტექსტები, რომლებიც სირთულით შეესაბამება ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიერ მოთხოვნილ დონეს. ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს დონეებზე დაყრდნობით, სახელმძღვანელო შემოიფარგლება B1 დონისთვის შესაბამისი საკომუნიკაციო მიზნებითა და სამეტყველო ინტენციებით. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი თემები სავსებით პასუხობს XI კლასისთვის შერჩეულ თემატიკას.

**მოსმენა:** მოსასმენი ტექსტების დავალებებიდან გამომდინარე მოსწავლეებს ამ ეტაპზე მოეთხოვებათ ტექსტების უფრო ამომწურავად გაგება. სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ტექსტები სირთულით შეესაბამება სტანდარტით მოთხოვნილ დონეს და ამზადებს მოსწავლეებს B1 გამოცდისთვის.

**ლაპარაკი:** მრავალფეროვანია საკომუნიკაციო სიტუაციები, რომლებშიც მოსწავლე მონაწილეობს როგორც მსმენელი ან მოქმედი პირი. ის იყენებს ენობრივ მარაგს უფრო თავისუფლად როგორც სიმულაციური, ისე რეალური კომუნიკაციის დროს.

ათვისებული გრამატიკული, ლექსიკური და სამეტყველო მოქმედებების გამოსაყენებლად, ასევე საუბრებსა და ინტერვიუებში მონაწილეობის მისაღებად ეს წიგნი არაერთ დავალებას გვთავაზობს.

**მიმართულება – წერითი მატყვალა (კითხვა და წერა):** აერთიანებს ამ აქტივობათა თანმხლებ სტრატეგიებს, რომლებიც მოსწავლეს გაუადვილებს საკომუნიკაციო მიზნების მიღწევას.

**კითხვა:** წასაკითხი ტექსტები შედარებით ვრცელია. სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ტექსტები სირთულით ასევე შეესაბამება სტანდარტით მოთხოვნილ დონეს.

ტიპურ დავალებებს წარმოადგენს ტექსტის შესახებ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, ტექსტის ნაწილების აზრობრივად ერთმანეთთან დაკავშირება, ტექსტის ნაწილების და სურათების შესაბამისობაში მოყვანა, სავარაუდო პასუხებიდან სწორი პასუხის შემოხაზვა (Multiple Choice) და ვარაუდების გადამოწმება (richtig/falsch).

**წერა:** წერითი კომუნიკაციის უნარის განსავითარებლად გამოიყენება კითხვისას დამუშავებული ტექსტებიც, რომლებიც მოსწავლეს შეუძლია იხელმძღვანელოს აღწერითი თხრობითი ტექსტების შექმნისას, პირადი მიმონერის წარმოებისას და სხვა. წერის სტრატეგიებისა და ახლადშექმნილი ლექსიკურ-გრამატიკული ცოდნის გამოსაყენებლად და სხვადასხვა ტექსტების შესათხზავად სახელმძღვანელოში სხვადასხვა ტიპის დავალება და სავარჯიშოა მოცემული.

#### 4. გრამატიკა

ამ სახელმძღვანელოში გრამატიკული თავისებურებებისა და კონსტრუქციების სისტემატიზაცია სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებით ხდება, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, დააკვირდეს, ამოიცნოს, გაიაზროს და კონტექსტში გამოიყენოს გრამატიკული კონსტრუქციები.

მოცემული თემების ფარგლებში მოსწავლეების საკომუნიკაციო მოთხოვნებს შეესაბამება ასათვისებელ ენობრივ მასალაზე აგებული ტექსტების მეშვეობით, გრამატიკული მასალა მოსწავლეს მიეწოდება ზეპირ თუ წერილობითი საკომუნიკაციო სიტუაციებით. რუბრიკა „გრამატიკის ყუთი“ ხელს უწყობს ნასწავლის სწორად გამოყენებას.

გრამატიკის სისტემატიზაცია ენის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გრამატიკისთვის გამოყოფილ ნაწილში, სადაც ჯამდება მოდულის გრამატიკული მასალა. მოსწავლეს საშუალება ეძლევა, ამოიცნოს გრამატიკული თავისებურებები (Ergänze die Regel) და შეადაროს ისინი მშობლიურ ენას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ენობრივ თავისებურებებზე ყურადღების გამახვილებას (language awareness). ამასთან გავლილ თემატურ მასალაზე აგებული გრამატიკული სავარჯიშოებით მოწმდება, სწორად გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა გრამატიკული სტრუქტურები და შეუძლიათ თუ არა მათი გამოყენება.

ყოველი მოდულის ბოლოს მოცემული გრამატიკული ნაწილი არ უნდა დამუშავდეს განყენებულად. სასურველია მისი ჩართვა თავზე მუშაობის პროცესში. მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებას ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ მათ შეუძლიათ შედეგების პერიოდულად შემოწმება მოცემული პასუხების მეშვეობით. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ ყოველი მოდულის ბოლოს მოცემული ტესტის, „Teste dein Deutsch“-ის, მეშვეობით ნასწავლის შემოწმება, თვითშეფასება და მოცემული პასუხების მეშვეობით შედეგების კონტროლი.

B1.2 დონის გავლის შემდეგ მოსწავლეებს შეეძლებათ საკომუნიკაციო სიტუაციებში ქვემოთ მოცემული გრამატიკული ფენომენების გამოყენება:

- მიმართებით ნაცვალსახელიანი დამოკიდებული წინადადება (Relativsätze im Nominativ und Akkusativ);
- კავშირებითი კილო მოდალურ ზმნებთან ერთად (Konjunktiv II mit Modalverben);
- ინფინიტივიანი წინადადებები და კავშირი „ნაცვლად ამისა“ (Infinitivsätze „statt ... zu“ / und Konnektor „stattdessen“)
- არაპირდაპირი კითხვითი წინადადებები (Fragesätze im Nebensatz/ Indirekte Fragen)
- კითხვითი სიტყვები და ნაცვალსახელური ზმნიზებები (Fragewörter: Für wen? Mit wem? – Pronominaladverbien: Wofür? Womit?)
- წინდებულებიანი ზმნები (Verben mit Präpositionen)
- ვნებითი და მოქმედებითი გვარი (Passiv – Aktiv)

ეს გრამატიკული მასალა სრულ თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (იხ. *გერმანული ენა - საშუალო საფეხურის ენობრივი შინაარსი*).

## მოსწავლის რვეული

მოსწავლის წიგნი და მოსწავლის რვეული ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. მოსწავლის რვეულში მოცემული სავარჯიშოები ემსახურება მოსწავლის წიგნში ნასწავლი მასალის გააქტიურებას, ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, სიტყვის პრაქტიკულად გამოყენებასა, ნასწავლის განმტკიცებასა და შემოწმებას;

მოსწავლის რვეულში მოცემულია საწერი და მოსასმენი სავარჯიშოები. გარდა ამისა აქ ვხვდებით ისეთ სავარჯიშოებს, რომლებიც სალაპარაკო უნარ-ჩვევებს ავითარებს.

AB S.5-6: Ū. 1, 2, 3

მოსწავლის წიგნში მოცემული ეს სიმბოლო სამუშაო რვეულში შესაბამის სავარჯიშოებზე მიუთითებს.

ყოველი მოდულის ბოლოს მოცემულია თემების მიხედვით დაჯგუფებული ახალი სიტყვები შესაბამისი მაგალითებით. არსებით სახელებთან მოცემულია მრავლობითი რიცხვი. მარცხენა მხარეს მოცემული რიცხვი მოსწავლის წიგნში სათანადო გვერდზე მიუთითებს. სიტყვების მარჯვნივ არის საწერი ხაზები, სადაც მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, უცხო სიტყვებს მშობლიურ ენაზე მიუწერონ მნიშვნელობები. აქვე მოცემული რუბრიკა „ჩემი ახალი სიტყვები“ ლექსიკური მარაგის გამდიდრებას ემსახურება.

მოსწავლის რვეული შეგიძლიათ გამოიყენოთ გაკვეთილზე სამუშაოდ, მისი გამოყენება მოსწავლეებს ასევე დამოუკიდებელი მუშაობისთვისაც შეუძლიათ..

## მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნში მოცემულია სარეკომენდაციო ხასიათის მეთოდური რჩევები გაკვეთილის დასაგეგმად. რჩევები დაგეგმარებათ გაკვეთილის დაგეგმვაში, თუმცა გაძლევთ ასევე საშვალბას მოარგოთ გაკვეთილი თქვენი მოსწავლეების ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებს.

მასწავლებლის წიგნში ასევე მოცემულია მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიპციები და სავარჯიშოების პასუხები როგორც მოსწავლის წიგნისთვის, ასევე მოსწავლის რვეულისთვის.

მასწავლებლის წიგნი გთავაზობთ ასევე ტესტებს და სამეცხველო ბარათებს გავლილი თემების განსამტკიცებლად.

მასწავლებლის წიგნში თითოეული მოდულის თითოეულ თავს ახლავს შესაბამისი ტესტი. სულ მოცემული გვაქვს ორი მოდული ორი თავით. შესაბამისად, არის ოთხი ტესტი. პირველი მოდულის ბოლოს კი ასევე დამატებით მოცემულია ერთი შემაჯამებელი ტესტი (Abschlusstest). ზოგი ტესტი 20, ზოგი კი 25 ქულით არის შეჯამებული.

## სახელმძღვანელოში გამოყენებული თემები

ორივე მოდული და ოთხივე თავი მოიცავს ისეთ თემებს როგორებიც არის: მშობლებთან ურთიერთობა და ამასთან დაკავშირებული პრობლემები ( ამ ასაკისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელი და აქტუალურია), გარემოს დაცვა და გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით საკუთარ თავზე რეფლექსია, სხვადასხვა მედიები და მათი გამოყენება, სასკოლო გაზეთი და მისი შედგენა. ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის თემატურ ჩარჩოში შეტანილი კატეგორიები როგორიც არის ინსტიტუცია, ადამიანი, მოქმედება, მოვლენა და ამ კატეგორიებში ინდივიდის აქტივობის სფეროები სრულ თანხვედრაშია ზემოთ ჩამოთვლილ თემებთან.

## კრიტიკუმი სხელმძვანელს შესაფასებლად

გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც ჩამოთვლილია, თუ რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე უცხო ენის სხელმძვანელი. ეს ცხრილი ამოღებულია გოეთეს ინსტიტუტის მიერ მასწავლებლების მოსამზადებლად შექმნილი სპეციალური პროგრამიდან, კერძოდ პროგრამის მეხუთე ნაწილიდან DLL 5 Lernmaterialien und Medien, რომელიც 2014 წელს გამოიცა. შენიშვნების სვეტში ჩანს, თუ რამდენად შეესაბამება წინამდებარე სხელმძვანელი Wir neu B 1.2 მოცემულ კრიტერიუმებს.

კრიტიკუმი	შენიშვნები
<p><b>სხელმძვანელს კომპონენტები</b> (მოსწავლის წიგნი, სამუშაო წიგნი, მოსასმენი და საყურებელი მასალა)</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მოსწავლის წიგნისა და სამუშაო წიგნის ფუნქციები თვალსაჩინო და გასაგებია.</li> <li>2. სხელმძვანელი მრავალფეროვანი კომპონენტებისაგან შედგება.</li> <li>3. კომპონენტები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ადვილად მისაგნებია.</li> <li>4. მასწავლებლის წიგნი გამოსადეგია.</li> <li>5. სხელმძვანელი ხელმისაწვდომია სათანადო ფორმატში.</li> <li>6. სხელმძვანელს კომპონენტების ფასი მისაღებია.</li> </ol>	<p>სრულად შეესაბამება.</p>
<p><b>მიზნები</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>7. ყოველი თავის მიზანი განსაზღვრულია.</li> <li>8. მიზნები გასაგებად არის აღწერილი.</li> <li>9. მიზნები სრულიად შეესაბამება. სასწავლო გეგმას/გამოცდის მოთხოვნებს. მიზნები ორიენტირებულია საერთო ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოზე.</li> </ol>	<p>სრულად შეესაბამება.</p>
<p><b>სტრუქტურა/აგებულება</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>10. სხელმძვანელს სტრუქტურა თვალსაჩინოა.</li> <li>11. თითოეული თავის სიგრძე და რაოდენობა სრულიად მისაღებია.</li> <li>12. თითოეული თავის გავლა შესაძლებელია მოცემული თავისთვის გამოყოფილ დროში.</li> </ol>	<p>სრულად შეესაბამება.</p>

<p><b>პროგრესია</b></p> <p>13. პროგრესია ასაკობრივ ჯგუფთან შესაფერისია.</p>	<p>სრულად შეესაბამება.</p>
<p><b>თემები</b></p> <p>14. თემები მოსწავლეების მიზნებთან კავშირშია.</p> <p>15. თემები მოსწავლეებისთვის საინტერესოა.</p> <p>16. თემები მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით არის შერჩეული.</p> <p>17. თემები გერმანიის მიმართ ინტერესს აღვიძებს.</p> <p>18. არ ხდება იმ ტაბუდადებული თემების განხილვა, რომლებიც მოსწავლეების კულტურისთვის მიუღებელია.</p> <p>19. თემები თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.</p> <p>20. თემები ერთმანეთთან კავშირშია და ასახავს მიზნობრივი ჯგუფის ინტერესებს.</p>	<p>სრულად შეესაბამება.</p>
<p><b>კონტრასტულობა</b></p> <p>21. სახელმძღვანელო უზრუნველყოფს გერმანული ენის სტრუქტურისა და ლექსიკის შედარებას მოსწავლეების მშობლიურ/უცხო ენასთან.</p> <p>22. სახელმძღვანელო უზრუნველყოფს გერმანული კულტურის შედარებას როგორც მოსწავლეების კულტურულ გარემოსთან, ასევე მათთვის ცნობილ კულტურებთან.</p>	<p>სახელმძღვანელო ნაწილობრივ შეესაბამება მოცემული კრიტერიუმის 21-ე პუნქტს, ვინაიდან იძლევა მხოლოდ ლექსიკის შედარების შესაძლებლობას ქართულ ენასთან. ის ვერ უზრუნველყოფს გერმანული ენის სტრუქტურისა და ლექსიკის შედარებას ქართულ ენასთან. 22-ე პუნქტს შეესაბამება.</p>
<p><b>მედიები</b></p> <p>23. გამოსაყენებელი მედიები ხელმისაწვდომია სკოლაში.</p> <p>24. შემოთავაზებული მედიები კომპეტენტურად გამოყენების საშუალებას იძლევა როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის.</p> <p>25. მედიების გამოყენება ენის შესწავლის პროცესს აუმჯობესებს.</p>	<p>სრულად შეესაბამება.</p>
<p><b>დიზაინი (layout)</b></p> <p>26. დიზაინი ასაკობრივი ჯგუფს შეეფერება (ფერები, შრიფტი, ილუსტრაციები და ა.შ.).</p> <p>27. დიზაინი თვალსაჩინოს ხდის წიგნის აგებულებას და ამარტივებს ორიენტაციას.</p>	<p>სრულად შეესაბამება.</p>

## მეთოდები მოსწავლეთა გასააქტიურებლად

მეთოდი	აღწერილობა	შენიშვნა
<p>Ich glaube, du ...</p>	<p>მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. ყველა მოსწავლე წერს ბარათზე 5 აქტივობას, რომელსაც ის სიამოვნებით აკეთებს, ასევე 5 აქტივობას, რომლის გაკეთებაც მას არ მოსწონს. ჩამონერილ აქტივობებს მოსწავლე ალაგებს ანბანის მიხედვით და უცვლის ბარათს თავის მეწყვილეს. მოსწავლეები უნდა შეეცადონ გამოიცილონ რომელი აქტივობის კეთება მოსწონს/არ მოსწონს თავის მეწყვილეს. მასწავლებელი წინასწარ ურიგებს მოსწავლეებს საკომუნიკაციო ფრაზებს: „Ich glaube, du kannst gern ...“ /Ich glaube, du .... Gern. „Ja, das stimmt.“ / „Nein, das stimmt nicht.“</p>	<p>ამ აქტივობის საშუალებით იუმჯობესებენ გერმანულარ ლაპარაკის უნარს. მისი გამოყენება შევიძლიათ დაბალ საფეხურებზეც. დავალება ამალღებს მოტივაციას, ყველა მოსწავლე აქტიურად არის ჩართული გაკვეთილის მიმდინარეობაში.</p>
<p>Placemat</p>	<p>1. 4 მოსწავლე მუშაობს ერთად. ყველა ჯგუფს მაგიდაზე უდევს წინასწარ მომზადებული პლაკატი („Platzdeckchen“ oder „Placemat“) (siehe Vorlage). ყოველ მოსწავლეს აქვს თავისი სამუშაო ველი, სადაც მას შეუძლია დაწეროს თავისი მოსაზრებები.</p> <p>2. მასწავლებელი აძლევს დავალებას ან სვამს შეკითხვას. მოსწავლეები წერენ თავიანთ მოსაზრებებსა და პასუხებს მისთვის განკუთვნილ ველზე. დაასრულების შემდგომ, მათ უნდა „დაატრიალონ“ პლაკატი საათის ისრის მიმართულებით, ისე რომ ერთმანეთის პასუხების წაკითხვა შეძლონ. ეს პროცესი გრძელდება სამჯერ, სანამ ყველა ერთმანეთის პასუხს არ წაკითხავს.</p> <p>3. დასასრულს მოსწავლეები ჯგუფში აჯამებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას, წერენ თემის ძირითად ასპექტებს პლაკატის შუაგულში და წარადგენენ შედეგებს.</p>	<p>ყველა მოსწავლეს აქვს დრო მოსაფიქრებლად; პრინციპი: Think-Pair-Share</p>

<p>Karussell/ Kugellager oder ähnlich: Speeddating</p>	<p>მოსწავლეები ქმნიან ორ წრეს, ერთს შიდას, მეორეს - გარეს, ისე, რომ ყველა მოსწავლეს შიდა წრეში ჰყავს პარტნიორი გარე წრიდან, რომელთანაც უნდა ისაუბროს. მასწავლებელი სვამს კითხვას, ან წამოჭრის თემას რომელზეც მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ მოცემული დროის განმავლობაში. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ნიშანს, რომლის შემდეგაც მოსწავლეები გარე წრეებში გადაადგილდებიან ერთი ნაბიჯით მარჯვნივ, ისე რომ ჰყავდეთ ახალი პარტნიორი. მასწავლებელი გადადის შემდეგ კითხვაზე, რომელზეც მოსწავლეებმა ახალ პარტნიორთან ერთად უნდა ისაუბრონ და ა.შ. ყოველი შეკითხვის დაწყებასა და დასრულებას მასწავლებელი მოსწავლეებს გარკვეული სიგნალით ატყობინებს.</p>	<p>აქტივობა შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა თემებზე სასაუბროდ და გამართული საუბრის სავარჯიშოდ.</p>
<p>Reziprokes Lesen / Cheflesen</p>	<p>მოსწავლეები ძირითადად ოთხი მოსწავლისგან დაკომპლექტებულ ჯგუფში ამუშავებენ ტექსტს, რომელიც რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი. ტექსტის ნაწილები მოსწავლეებს ურიგდებათ ნაწილ-ნაწილ. თავდაპირველად ისინი კითხულობენ ტექსტის პირველ ნაწილს. ნაკითხვის შემდეგ ისინი მუშაობენ ჯგუფურად. ყველა მოსწავლეს ჯგუფში ურიგდება ბარათი, რომელზეც მოცემულია მის მიერ შესასრულებელი დავალება. დავალებები შესაძლებელია იყოს შემდეგი ტიპის: ერთი მოსწავლე აჯამებს ნაკითხულს, მეორე გამოიკითხავს სიტყვებს, მესამე სვამს შეკითხვებს და მეოთხე გამოთქვამს ჰიპოთეზას, როგორ შეიძლება გაგრძელდეს ტექსტი. მას შემდეგ რაც ყველა დაასრულებს თავის დავალებას, ჯგუფის ყველა წევრი იწყებს ტექსტის შემდეგი ნაწილის ნაკითხვას. მოსწავლეები თავიანთ ბარათებს შესასრულებელი დავალებით გადასცემენ მათ მარჯვნივ მჯდომ ჯგუფის წევრს და ასე შემდეგ, სანამ არ დასრულებდა ტექსტზე მუშაობა.</p>	<p>ტექსტის კითხვის ეს ფორმა თავდაპირველად უჩვეულოა მოსწავლეებისთვის. მეორე მცდელობისას მოსწავლეებს ემატებათ თავდაჯერება და სწავლობენ სწავლების პროცესში პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას.</p>
<p>Messe</p>	<p>ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ დაკიდეთ ჯგუფების ნამუშევრები პლაკატებზე საკლასო ოთახის სხვადასხვა კუთხეებში. ჯგუფმა უნდა აირჩიოს ერთი წარმომადგენელი, რომელიც დადგება მისი ჯგუფის ნამუშევრის წინ და სხვა ჯგუფების წევრებს უპასუხებს საკუთარ ნამუშევართან დაკავშირებულ კითხვებზე. მოსწავლეები დადიან სხვადასხვა პლაკატებთან, სვამენ შეკითხვებს, აფასებენ შედეგებს და საუკეთესო ნამუშევარს უსვამენ ვარსკვლავებს. მოსწავლეებს წინასწარ შეგიძლიათ დაურიგოთ სამეტიყველო ფრაზები უკუკავშირის მისაცემად: „Was finde ich besonders wichtig/interessant?“ ან „Gibt es etwas, womit ich überhaupt nicht einverstanden bin?“</p>	<p>ეს აქტივობა უზრუნველყოფს მოსწავლეების აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში.</p>

## შეფასება

როგორც წესი სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

- ა. მიმდინარე საშინაო დავალება;
- ბ. მიმდინარე საკლასო დავალება;
- გ. შემაჯამებელი დავალება.

ეს სახელმძღვანელო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გვთავაზობს 4 ტესტს თითოეული თავისთვის და ორ შემაჯამებელ ტესტს ორი მოდულისთვის. ისინი მოცემულია მასწავლებლის წიგნში. მათი შეფასების ცხრილები, რომლებიც მორგებულია ქართული შეფასების სისტემას, შეგიძლიათ იხილოთ თავში „სახელმძღვანელოს ძირითადი კომპონენტები“.

გარდა ამისა, მოსწავლის წიგნში ორივე მოდულის ბოლოს მოცემულია რუბრიკა “Wir trainieren“ და “Teste dein Deutsch“, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ისინი შესრულდეს როგორც მიმდინარე საკლასო დავალება და შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზო-საშუალო საფეხურები
<b>მიმდინარე საშინაო დავალება</b>	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
<b>მიმდინარე საკლასო დავალება</b>	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
<b>შემაჯამებელი დავალება</b>	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

(იხ. ეროვნული სასწავლო გეგმა)

რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, ის უნდა ზომავდეს, თუ რამდენად ფლობს ან/და რამდენად ფუნქციურად იყენებს მოსწავლე სამიზნე ცნებებს. ცნებების დაუფლების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება ე.წ. სოლო ტაქსონომია (დაკვირვებადი სასწავლო შედეგების სტრუქტურის ტაქსონომია - ინგლ. SOLO - Structure of Observed Learning Outcomes), რომელიც წარმოადგენს პლატფორმას შეფასების კრიტერიუმების შესამუშავებლად. სოლო ტაქსონომია ზომავს მოსწავლეთა მიღწევებს 5 დონის მიხედვით. ეს დონეებია:

<p><b>SOLO 1: პრე-სტრუქტურული დონე</b></p> <p>მოსწავლეს საერთოდ არ აქვს გააზრებული საკითხი, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია საკითხს.</p>
<p><b>SOLO 2: უნიტრუქტურული დონე</b></p> <p>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/აღგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა.</p>
<p><b>SOLO 3: მულტიტრუქტურული დონე</b></p> <p>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება და სხვ.</p>
<p><b>SOLO 4: მიმართებითი დონე</b></p> <p>მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეეხამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი სტრუქტურებულია და, ამგვარად, მოსწავლეს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზებისა და შედეგების კუთხით.</p>
<p><b>SOLO 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე</b></p> <p>მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა, სტრუქტურის აღქმა სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვით და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება.</p>

სახელმძღვანელო Deutsch B1.2 მოსწავლეებს ამზადებს მოზარდების B1 გამოცდისთვის. გამოცდა ოთხივე უნარ-ჩვევის (კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი, წერა) შემოწმებას ისახავს მიზნად. სასურველია მასწავლებელმა ის სასწავლო წლის ბოლოს ჩაატაროს. რეცეფციული უნარები, როგორც არის კითხვა და მოსმენა, შესაბამისი ქულებით ფასდება, რაც შეეხება პროდუქტიულ უნარებს, როგორც არის წერა და ლაპარაკი, მათ თავიანთი კრიტერიუმები გააჩნიათ, რომლებიც ჩაშლილია ცალკე ცხრილში შემდეგ კატეგორიებად: შესრულება, კოჰერენტულობა, ლექსიკური მარაგი, სტრუქტურები. ეს კატეგორიები 5 შკალიანი სისტემით ფასდება და ემთხვევა სოლო-ტაქსონომიის შეფასებას.

# მეტყველების ნაწილის (ლავარაკი) შეფასების კრიტერიუმები

დაკატეგორია 1					
	A/Solo 5	B/Solo 4	C/Solo 3	D/Solo 2	E/Solo 1
შესრულება	ენობრივი ფუნქციები (პუნქტები), შინაარსი, მოცულობა, (მაგ. წინადადების, წინადადებებზე დათანხმება)	მოცემული პუნქტები მეტწილად სათანადოდ არის შესრულებული	მოცემული პუნქტები ნაწილობრივ არის შესრულებული	მოცემული პუნქტები სათანადოდ არ არის შესრულებული	საუბრის ნაწილი ვერ ფასდება, აცდენილია თემას
ინტერაქცია (საუბრის დაწყება, მასში მონაწილეობა, დასრულება, ინტერაქციისთვის მზაობა)	სათანადოდ არის შესრულებული	მეტწილად სათანადოდ არის შესრულებული	ნაწილობრივ არის შესრულებული	სათანადოდ არ არის შესრულებული	
ლექსიკური მარაგი	რეგისტრი	მოსაუბრესთან სიტუაციასთან ძირითადად ადეკვატურია	მოსაუბრესთან სიტუაციასთან ნაწილობრივ ადეკვატურია	მოსაუბრესთან და სიტუაციასთან სრულად არაადეკვატურია	
	დიფერენცირებული	ძირითადად შესაფერისი	ნაწილობრივ შესაფერისი	თითქმის შესაბამისია	
	თითო-ორი შეცდომა არ უშლის ხელს ნათქვამის გაგებას	ბევრი შეცდომა არ უშლის ხელს ნათქვამის გაგებას	ბევრი შეცდომა ნაწილობრივ უშლის ნათქვამის გაგებას	ბევრი შეცდომა საგრძნობლად უშლის ხელს ნათქვამის გაგებას	
სტრუქტურები	ფლობა	ფლობა (სინტაქსი, მორფოლოგია)	დიფერენცირებული	ნაწილობრივ შესაფერისი	თითქმის შესაბამისია
	თითო-ორი შეცდომა არ უშლის ხელს გაგებას	ბევრი შეცდომა არ უშლის ხელს გაგებას	ბევრი შეცდომა ნაწილობრივ უშლის გაგებას	ბევრი შეცდომა ნაწილობრივ უშლის გაგებას	

დავალევა 2						
შესრულება	სრულყოფილობა	პრეზენტაციის ყველა პუნქტი სრულყოფილადაა შესრულებული	პრეზენტაციის 3-4 პუნქტი სრულყოფილად არის შესრულებული	2 პუნქტი სრულყოფილად არის შესრულებული, ან ყველა პუნქტი ძალიან მოკლედ და არასრულყოფილად შესრულდა	პრეზენტაციის 1 პუნქტი სრულყოფილად არის შესრულებული	პრეზენტაციის შეფასება შეუძლებელია
კოპირენტილობა	წინადადების ერთმანეთზე გადაბმვა, აზრის მსვლელობა	სათანადოდ არის შესრულებული	მეტწილად სათანადოდ არის შესრულებული	ნაწილობრივ არის შესრულებული	სათანადოდ არ არის შესრულებული	
ლექსიკური მარაგი						
სტრუქტურები						
დავალევა 3						
შესრულება	უკუკავშირის მიცემა, კითხვის დასმა, კითხვაზე პასუხის გაცემა	სათანადოდ არის შესრულებული	მეტწილად სათანადოდ არის შესრულებული	ნაწილობრივ არის შესრულებული	სათანადოდ არ არის შესრულებული	შეფასება შეუძლებელია
წარმოთქმა	არ არის თვალში საცემი გადახრა	არის გადახრა, მაგრამ გაგებას არ უშლის ხელს	მოსაუბრის გაგება ქირს	მოსაუბრის გაგება მეტწილად ქირს	მოსაუბრის გაგება ძალიან ქირს	გაუგებარი

იხილეთ დავალევა 1

# წერიტი ნაწილის შეფასების კრიტერიუმები

დავლება 1					
	A	B	C	D	E
შესრულება	<p>შინაარსი, მოცულობა, მოცემული პუნქტები (მაგ. ვილაცის დაბატიჟება, რამის შეთავაზება)</p> <p>ტექსტის სახეობა</p>	<p>მოცემული ორი პუნქტი სათანადოდაა შესრულებული ან ერთი პუნქტი სათანადოდ და ორი ნაწილობრივ</p> <p>ამოცნობა</p>	<p>მოცემული ერთი პუნქტი სათანადოდაა შესრულებული და ერთი ნაწილობრივ ან ყველა ნაწილობრივ</p> <p>ნაწილობრივ ამოცნობა</p>	<p>მოცემული ერთი პუნქტი სათანადოდაა შესრულებული ან ნაწილობრივ</p> <p>ძლივს ამოცნობა</p>	<p>ტექსტის მოცულობა 50%-ით ნაკლებია მოცემულ სიტყვათა რაოდენობაზე</p>
კოშკენეტულობა	<p>რეგისტრი/სოციოკულტურული შესაბამისობა</p>	<p>დავლება სიტუაციისა და პარტნიორთან მიმართებაში ადეკვატურადაა შესრულებული</p>	<p>დავლება სიტუაციისა და პარტნიორთან მიმართებაში ნაწილობრივ ადეკვატურადაა შესრულებული</p>	<p>დავლება სიტუაციისა და პარტნიორთან მიმართებაში არა ადეკვატურადაა შესრულებული</p>	<p>ტექსტი მთლიანობაში შეუსაბამოა</p>
ლექსიკური მარაგი	<p>ტექსტის აგებულება (მაგ. დასაწყისი და დასასრული), ნინადადებებისა და ცალკეული სიტყვების დაკავშირება</p>	<p>შესაბამისია</p>	<p>ნაწილობრივ შესაბამისია</p>	<p>თითქმის შეუსაბამოა</p>	
სტრუქტურები	<p>სუბექტი, ფლობა</p> <p>ფლობა (სინტაქსი, მორფოლოგია და ორთოგრაფია)</p>	<p>დიფერენცირებული</p> <p>თითო-ორილა შეცდომა არ უშლის ხელს მოსმენას</p>	<p>ნაწილობრივ შესაფერისი</p> <p>ბევრი შეცდომა არ უშლის ხელს მოსმენას</p>	<p>თითქმის შეუსაბამოა</p> <p>ბევრი შეცდომა საგრძობლად ხელს უშლის მოსმენას</p>	
სტრუქტურები	<p>ფლობა (სინტაქსი, მორფოლოგია და ორთოგრაფია)</p>	<p>დიფერენცირებული</p> <p>თითო-ორილა შეცდომა არ უშლის ხელს მოსმენას</p>	<p>ნაწილობრივ შესაფერისი</p> <p>ბევრი შეცდომა უშლის ხელს მოსმენას</p>	<p>თითქმის შეუსაბამოა</p> <p>ბევრი შეცდომა ნაწილობრივ ხელს უშლის მოსმენას</p>	

<b>დავალევა 2</b>						
შესრულება	შინაარსი, მოცულობა, აზრის გამოსატყა	აზრის გამოსატყა შინაარსისა და მოცულობის თვალსაზრისით დავალების შესატყვისია	ძირითადად შესატყვისია	ნაწილობრივ შესატყვისია	თითქმის შეუსაბამოა	იხილეთ დავალება 1
	რეგისტრი/ სოციოკულტურული შესაბამისობა	დავლება სიტუაციისა და პარტნიორთან მიმართებაში ადეკვატურადაა შესრულებული	დავლება სიტუაციისა და პარტნიორთან მიმართებაში ძირითადად ადეკვატურადაა შესრულებული	დავლება სიტუაციისა და პარტნიორთან მიმართებაში ნაწილობრივ ადეკვატურადაა შესრულებული	დავლება სიტუაციისა და პარტნიორთან მიმართებაში არაა ადეკვატურადაა შესრულებული	
კოპირენტულობა						
ლექსიკური მარაგი						
სტრუქტურები						
<b>დავალევა 3</b>						
შესრულება	შეტყობინება, შინაარსი რეგისტრი/ სოციოკულტურული შესაბამისობა	შეტყობინება შინაარსისა და სოციოკულტურული შესაბამისობის თვალსაზრისით დავალების შესატყვისია	ძირითადად შესატყვისია	ნაწილობრივ შესატყვისია	თითქმის შეუსაბამოა	იხილეთ დავალება 1
კოპირენტულობა						
ლექსიკური მარაგი						
სტრუქტურები						
<b>იხილეთ დავალება 1</b>						
<b>იხილეთ დავალება 1</b>						

## ბაკვეთილის გეგმა

**გლობალური მიზანი: მოსწავლემ იცის თუ როგორ უნდა გაუფრთხილდეს გარემოს და შეიტანოს წვლილი გარემოს დასაცავად სკოლასა თუ სახლში.**

დრო	მიზანი	მოსწავლის აქტივობა	სოციალური ფორმა	მასალა	მასწავლებლის აქტივობა
10 წ.	მას შეუძლია თქვას, თუ რა სიხშირით აკეთებს ამა თუ იმ აქტივობას.	მოსწავლეები უყურებენ და ისმენენ ყურადღებით აქტივობებს. ისინი დგებიან იმ ბარათთან, რომელიც მათ პოზიციას ყველაზე მეტად გამოხატავს.  ისინი, ვინც ერთ ბარათთან იყრიან თავს, ცვლიან მოკლედ თავიანთ მოსაზრებებს მოცემულ აქტივობაზე.	ფორუმი  Fußabstimmung	წინასწარ მომზადებული დასურათებული აქტივობები და ბარათები სიტყვებით:  ყოველთვის, იშვიათად, არასდროს	მასწავლებელი აწყობს იატაკზე შორიშორს ბარათებს (Wortkarten: immer/selten/nie).  ის თანმიმდევრობით კითხულობს აქტივობებს და აკრავს დაფაზე. ყოველი აქტივობის შემდეგ ის აძლევს მოსწავლეებს დროს, რომ დადგინონ იმ ბარათთან, რომელიც მათ პოზიციას ასახავს და გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი მოსაზრებები.
5 წ.	მან იცის, რომელი აქტივობებია ეკომეგობრული და არაეკომეგობრული.	მოსწავლეები მსჯელობენ აქტივობებზე და უსადაგებენ მოცემულ აქტივობებს სიტყვებს: ეკომეგობრული და არაეკომეგობრული.  დასასრულს მოსწავლეები წარადგენენ შედეგებს.	წყვილებში	სამუშაო ფურცელი 1  1a)	მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს სამუშაო ფურცელს და უხსნის დავალებას.  მასწავლებელი მიდის წყვილებთან და ეხმარება საჭიროების შემთხვევაში.
5 წ.	მას შეუძლია გაიაზროს და თქვას, არის თუ არა ის ეკომეგობრული.	მოსწავლეები საუბრობენ თავიანთ ჯგუფებში იმაზე, თუ რამდენად ეკომეგობრულები არიან ისინი.	ჯგუფურად	სამუშაო ფურცელი 1  1b)	მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაფიქრდნენ, რამდენად ეკომეგობრულია მათი ქმედებები და ისაუბრონ ჯგუფში, რომელ კატეგორიას ეკუთვნიან ისინი.
7 წ.	მას შეუძლია წაკითხული მოსაზრებების გაგება.	მოსწავლეები კითხულობენ მოსაზრებებს და უსადაგებენ მათ მოცემულ ფოტოებს	ინდივიდუალურად და წყვილებში	წიგნი, გვ.27, 2.	მასწავლებელი უხსნის დავალებას და ეხმარება საჭიროების შემთხვევაში.

7 წ. + 3წ.	<p>მას შეუძლია ააწყოს აქტივობა და თქვას, თუ ვინ აკეთებს ამას.</p> <p>/მას შეუძლია თქვას, რას აკეთებენ ოჯახის წევრები.</p>	<p>მოსწავლეები ბარათებზე მოცემულ სიტყვებს კიდებენ დაფაზე იმ ადამიანის გასწვრივ, ვინც ასრულებს მოცემულ აქტივობას.</p> <p>ბოლოს ისინი წაკითხული მოსაზრებების მეშვეობით ამონებენ შედეგებს.</p>	ჯგუფურად/ფორუმი	<p>წინადადებები ასაწყობად</p> <p>Sätze zum Rekonstruieren</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე, ერთმანეთის ქვეშ აკრავს სახელებს (Frau Weigel, Herr Weigel, Tina und Stefan). ის ურიგებს ჯგუფებს ბარათებს (Wortkarten, „statt“ und „zu Infinitiv“ auf farbige Karten), ისე რომ თითო ჯგუფმა ააწყოს თითო წინადადება.</p> <p>ის ხსნის დავალებას და მოდერირებს.</p> <p>ის ეკითხება მოსწავლეებს, ასრულებენ თუ არა მსგავს აქტივობებს მათი ოჯახის წევრები.</p>
5 წ.	<p>ის იცნობს დამოკიდებულ წინადადებას „statt ... zu Infinitiv“.</p>	<p>მოსწავლეები კითხულობენ წინადადებებს და ავსებენ წესს.</p> <p>ისინი მათ მაგიდასთან მსხდომ წყვილთან ადარებენ შედეგებს.</p>	წყვილებში	სამუშაო ფურცელი 2	<p>მასწავლებელი ურიგებს სამუშაო ფურცელს და უხსნის დავალებას.</p> <p>ის ეხმარება მათ საჭიროების შემთხვევაში.</p>
7 წ.	<p>მას შეუძლია დაასრულოს წინადადებები.</p>	<p>მოსწავლეები კითხულობენ წინადადების დასაწყისს და ასრულებენ მას ლოგიკურად.</p>	ფორუმი	სამუშაო ფურცელი 3	<p>მასწავლებელი არიგებს სამუშაო ფურცელს და ხსნის დავალებას.</p> <p>ის ეხმარება საჭიროების შემთხვევაში.</p> <p>აქ შესაძლებელია დიფერენცირებული მიდგომა. ძლიერ მოსწავლეებს შეგიძლით თავად დაასრულებინოთ წინადადებები მოცემულობების გარეშე და შემდეგ შეადარებინოთ შედეგები შედარებით სუსტებთან. (ან მიეცით მოსწავლეებს საშუალება, თავად აირჩიონ, როგორ სურთ დავალების დამუშავება).</p>

10 ნ.	<p>მას შეუძლია ისაუბროს იმაზე, როგორ შეიძლება გახდეს ეკომეგობრული სკოლასა თუ სახლში.</p>	<p>მოსწავლეები ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ გახადონ თავიანთი ქმედებები ეკომეგობრული. ისინი წერენ თავიანთ მოსაზრებებს მათთვის განკუთვნილ ველზე.</p> <p>შემდეგ ისინი ცვლიან თავიანთ მოსაზრებებს და წერენ საუკეთესო ინიციატივებს ფურცლის შუაგულში.</p>	<p>ინდივიდუალურად და ჯგუფურად</p> <p>Think-Pair-Share</p>	<p>სამუშაო ფურცელი 4</p>	<p>მასწავლებელი ადგენს ჯგუფებს. ის უხსნის დავალებას და სთხოვს ორ-ორმა ჯგუფმა იმუშაოს თითო ასპექტზე (Gruppen 1 und 3: zu Hause, Gruppen 2 und 4: in der Schule)</p> <p>ის მიდის ჯგუფებთან და ეხმარება საჭიროების შემთხვევაში.</p>
-------	--	---	---	--------------------------	--

## **Bebilderte Aktivitäten zum Vorlesen.**

1. Ich schalte den Fernseher ganz aus.
2. Ich trenne zu Hause den Müll.
3. Ich benutze öffentliche Verkehrsmittel.
4. Ich kaufe Getränke auch in Plastikflaschen.
5. Ich werfe Abfälle auf den Boden.
6. Ich dusche ewig lange warm.
7. Ich benutze nur Hefte aus Recyclingpapier.
8. Ich werfe Altpapier in den Mülleimer.

# Arbeitsblatt 1

1a. Sortiere die Aktivitäten und trage sie in die Tabelle ein.

Ich schalte den Fernseher ganz aus. / Ich trenne zu Hause den Müll.  
/ Ich benutze öffentliche Verkehrsmittel. / Ich kaufe Getränke auch in  
Plastikflaschen. / Ich werfe Abfälle auf den Boden. / Ich dusche ewig  
lange warm. / Ich benutze nur Hefte aus Recyclingpapier. / Ich werfe  
Altpapier in den Mülleimer.

Ich bin umweltbewusst 😊	Ich bin ein Umweltmuffel ☹️

1b. Bist du umweltbewusst oder ein Umweltmuffel? Tauscht euch in der Gruppe aus.

Sätze zum Rekonstruieren.

Frau Weigel						
Ich	nehme	meinen Einkaufskorb	mit	statt	Plastiktüten	zu kaufen.
Herr Weigel						
Ich	fahre	mit dem Bus	zur Arbeit	statt	das Auto	zu benutzen.
Tina						
Ich	trenne	den Müll	statt	alles	in denselben Eimer	zu werfen.
Stefan						
Ich	bringe	die leeren Batterien	zurück	statt	sie	wegzuwerfen.

## Arbeitsblatt 2

Lies die Sätze noch einmal und ergänze die Regel.

